დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება

განკარგულება:**გ-109. 109262302**

თარიღი:**18/08/2026**

დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაცია) ჩასატარებლად დასაშვები შენობა-ნაგებობების ნუსხის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 50-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა :**

1. მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითი ორგანოების საკრებულოების 2026 წლის 03 ოქტომბრის შუალედურ არჩევნებთან დაკავშირებით, დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სადაც შესაძლებელი იქნება ჩატარდეს წინასაარჩევნო კამპანია (აგიტაცია), განისაზღვროს სოფელი ველისპირის სარიტუალო დარბაზი.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისში, სულხან-საბას ქ. N113).

პაატა ყულიაშვილი

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი